ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული სხვა კომისიებთან)
სხდომის ოქმი
№–5

2022 წელი, 25 იანვარი, 12:00 სთ. ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ზაზა თავაძე
გიორგი ონიანი
ცოტნე კობერიძე

მოწვეული პირები:

- დავით ჩანქსელიანი – შპს თბილსერვის ჯგუფის წარმომადგენელი;
- დავით ჯაიანი – სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ოთარ ჩიტიძე - სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- მარიამ კვერნაძე - სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ნუცა ცქიტიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი;

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. დავით ფარცვანიას უფლებამოსილების ცნობის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N 5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის "თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
7. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
8. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28

თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქ. “ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს ქუჩა N7-ში მდებარე 40.23 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.486.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. “ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N116-ში მდებარე 93.25 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.021.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. “ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს III ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.466.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონის, კორპუს N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.004.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N1-ში, კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.024.008.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. “ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის I ჩიხის N4ბ-ში არსებული 102.03 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.19.913.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N93-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.010.01.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. "ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.009.10.500 და N N01.12.07.005.009.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.05.885) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.004.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. "ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.011.014.01.508 და N01.16.01.011.014.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. "ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026.01.552 და N01.13.06.002.026.01.553) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. "ქალაქ თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.14.009.032) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ხარატიშვილისთვის (პ/ნ: 01017012993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქ. თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.07.045.028) პირდაპირი განკარგვის წესით შალვა ჯოხაძისთვის (პ/ნ:45001002521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს, დავით ფარცვანიას უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი გააცნო.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურულ საკითხებზე და განმარტა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, თუ პროპორციული წესით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ იგი ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე.

ამასთან, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, რეგლამენტით დადგენილი წესით შეისწავლის, განიხილავს და ამზადებს დასკვნას, საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით.

სამართლებრივი პროცედურული საკითხების მითითების შემდგომ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2021 წლის 29 დეკემბერს პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება შეუწყდა პარტიული სიით არჩეულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ლევან დოლიძეს. ამასთან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი განკარგულებით, ცნობილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „გახარია - საქართველოსთვის" პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის ლევან დოლიძის (პარტიულ სიაში N1) ადგილმონაცვლედ ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი დავით ფარცვანია (პარტიულ სიაში N5).

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლით - გათვალისწინებული წესის დაცვით თან ერთვის საკრებულოს წევრობის კანდიდატის დავით ფარცვანიას თანხმობა საკრებულოს წევრობაზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტი, საკითხის შესახებ მომზადებულ დასკვნას დაერთვება დანართის სახით და წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განხილვის მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" და ქალაქ

თბილისის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები დაცულია, ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა ცნოს დავით ფარცვანიას უფლებამოსილება.

მოისმინეს:

2 – 3. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ეძლევა უფლებამოსილება საკუთარი შეხედულების შესაბამისად უარი თქვას საკრებულოს კომისიის წევრობაზე, ასევე მას შეუძლია გაწევრიანდეს საკრებულოს ერთი ან არაუმეტეს ორი კომისიის შემადგენლობაში. ამასთან, საქართველოს პარლამენტის მსგავსად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებში გაჩნდა საკრებულოს უმრავლესობისა და ოპოზიციის ცნებები და განისაზღვრა მათი ფორმირების წესი და პროცედურა.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილება ხორციელდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში და ხდება დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის ცალკეული მუხლებისა და პუნქტების ახლებურად ჩამოყალიბება.

კომისიის თავმჯდომარემ იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტთან ჰარმონიზაციის მიზნით, ცვლილება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N 5-5 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატება შემდეგი შინაარსის ო1) ქვეპუნქტი:

„ო1) საკრებულოს ბიუროს რეგისტრაციაში გატარების მიზნით წარუდგენს საკრებულოს უმრავლესობაში შემავალი საკრებულოს წევრის საკრებულოს ოპოზიციაში შემავალ ფრაქციაში გაერთიანების შედეგად გამოწვეულ ცვლილებას. საკრებულოს ბიუროს რეგისტრაციაში გატარების მიზნით წარუდგენს საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას, საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაციის ან საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში ცვლილების შეტანის შემდეგ უახლოეს სხდომაზე".

დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ნორმატიული აქტები ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მათი მიღება არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს; ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა და ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება ხორციელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივი სარგოებებში, კერძოდ:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნო“-ში:

1.1. უქმდება ორი შტატი - „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მრჩეველი)“ - 1 (ერთი) შტატი (თანამდებობრივი სარგო - 2090 (ორი ათას ოთხმოცდაათი) და „მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი“-ს -1 (ერთი) შტატი (თანამდებობრივი სარგო -1980 (ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარი;

1.2. ემატება ორი შტატი „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (თანაშემწე)“-ს საშტატო რაოდენობაში, რაც 5-ის ნაცვლად იქნება 7 (შვიდი) ერთეული - თანამდებობრივი სარგო - 2310 (ორი ათას სამას ათი) ლარი;

2.“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამდივნო“-ში:

2.1.უქმდება ერთი შტატი - „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მრჩეველი)“ - თანამდებობრივი სარგო - 2090 (ორი ათას ოთხმოცდაათი) ლარი;

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო“-ში

3.1.ემატება ერთი შტატი - „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი“ , თანამდებობრივი სარგო - 2090 (ორი ათას ოთხმოცდაათი) ლარი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სამდივნო“-ში

4.1. უქმდება 1 (ერთი) შტატი - „მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი“, თანამდებობრივი სარგო - 1760 (ათას შვიდას სამოცი) ლარი;

4.2. ემატება 1 (ერთი) შტატი - „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის“ თანამდებობრივი სარგო 2090 (ორი ათას ოთხმოცდაათი) ლარი.

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხის რიცხოვნობა არ იზრდება და არის უცვლელი -196 (ასოთხმოცდათექვსმეტი). ამასთან, სამართლებრივი აქტის მიღება არ გამოიწვევს თბილისის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას და ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ასევე, წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დაწარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. შპს თბილსერვის ჯგუფის უფროსმა - დავით ჩანქსელიანმა, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზებას კვლავაც განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირი შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

საკითხის წარმომდგენმა დეტალურად ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომელსაც მოიცავს აღნიშნული მომსახურება, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, წარმოქმნილი მყარი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება, დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზება, დარიცხული მოსაკრებლის კორექტირება და მონაცემთა ბაზაში აღრიცხვა, კანონმდებლობის

შესაბამისად დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების განწილვადება და სხვა.

დასასრულს, **დავით ჩანქსელიანმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების თანახმად, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდება **შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ანგარიშზე.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათ ადაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრეამბულა და პირველი მუხლი. ამასთან, განკარგულების პროექტს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის **მე-3 მუხლი:**

„3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე“

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის არსებული რედაქციის მესამე მუხლი, ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე შეიცვალოს მისი ნუმერაცია (განისაზღვროს მე-4 მუხლად) და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა** დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **დავით ჯაიანმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის "თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

დავით ჯაიანმა თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის

გაგრძელების შესახებ საგრანტო ხელშეკრულება წარადგინა და ვრცლად ისაუბრა თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეფორმაზე, მის მიმდინარეობაზე.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განაცხადა, საგრანტო ხელშეკრულება თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის **EBRD-ის** აქციონერთა სპეციალური ფონდის მხარდაჭერით ფორმდება. როგორც **დავით ჯაიანმა** განაცხადა, საგრანტო ხელშეკრულების მიზანია, თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვისა და რეფორმის სხვა კომპონენტების მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა. კერძოდ, ქალაქში ავტობუსების მომსახურების რეფორმების განხორციელება, რაც ავტობუსების მარშრუტების რესტრუქტურიზაციასა და გაფართოებას, სატარიფო სისტემის რეფორმას, მგზავრობის საფასურის გადახდის ინტეგრირებული ავტომატური სისტემის („AFC") დანერგვას მოიცავს. ასევე, ქალაქის პოტენციალის გაზრდას მომსახურების დაგეგმვისა და ახალი საჯარო სერვისების ხელშეკრულებების მართვისა და მონიტორინგის კუთხით, რაც ქალაქს საშუალებას მისცემს მიაღწიოს მისაღებ უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით სტანდარტებს.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ ხელშეკრულების თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თბილისის მუნიციპალიტეტს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისათვის **240 000 ევრომდე გრანტს გამოუყოფს.**

აზრი გამოთქვა:

ალექსანდრე რატიშვილმა დადებითი პოზიცია გამოხატა წარმოდგენილი საკითხის მიმართ და დაინტერესდა, თუ არის შერჩეული საკონსულტაციო კომპანია.

დავით ჯაიანმა ალექსანდრე კვიტაშვილსი საპასუხოდ განმრტა, რომ გრანტის ფარგლებში სატენდერო პროცედურები **EBRD-ის** მხრიდან დასრულებულია და შერჩეულია ერთ-ერთი წამყვანი ბრიტანული საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია"**Mott Macdonald**" -ი.

ნინო რუხაძე დაინტერესედა, იგეგმება თუ არა აპლიკაციის შექმნა.

დავით ჯაიანმა განმარტა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მოქმედი აპლიკაციის გარდა, დამატებით შეიქმნება საიტი და ინტერაქტიული რუკა. ამასთან, დავით ჯაიანმა საბა ბუაძის მოთხოვნის შესაბამისად დაწვრილებით ისაუბრა აღნიშნული აპლიკაციის შესახებ.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებს დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი** თვითმმართველობის **კოდექსი"** მე-100 **მუხლის** მე-7 **პუნქტი.** ამასთან, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში უნდა მიეთითოს ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრული სესხის ოდენობა. შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განაცხადა, ზემოაღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების და ასევე მათი რეალიზაციის წესს და პირობებს. ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსებასა ან/და რეალიზაციაზე უნდა გავრცელებულიყო 2022 წლის 1-იანვრიდან.

გიგა გიგაშვილმა იქვე დასძინა, რომ პანდემიიდან და ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მცირე მეწარმეებისთვის დადგენილებით გათვალისწინებული რეგულაციების და ვალდებულებების შესრულების გადავადებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული წესით რეგულირებულ სფეროში დასაქმებული

ბიზნეს სუბიექტებს მიეცემათ ვადა - ორი წელი, თავიანთი საქმიანობის ამ წესთან შესაბამისობაში მოსაყვანად. შესაბამისად, მიღების შემთხვევაში დადგენილებით დამტკიცებული წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

დასასრულს, **მომხსენებლამა** განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება გავრცელდება 2022 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვა:

წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში აზრი გამოთქვეს და კითხვები დასვეს:

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ყოველთვის მიესალმება მცირე ბიზნესისთვის დაწესებულ საშეღავათო ღონისძიებებს. თუმცა, დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე დადგენილი რეგულაციებისა და ვალდებულებების შესრულების კიდევ ორი წლით გადავადება დაუშვებლად მიიჩნია.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ საშეღავათო რეგულაციის ამოქმედებამდე უნდა ჩატარებულიყო კვლევა რომელიც დაადგენდა აღნიშნულ სექტორში მოქმედი მეწარმე ფიზიკური პირების მატერიალურ ზიანს.

გიორგი ონიანი ასევე დაინტერესდა, არის თუ არა შეფასებული ეკოლოგიური ზიანი, რომელსაც რეგულაციების გადავადების შედეგად მიიღებს დედაქალაქი.

როგორც ალექსანდრე რატიშვილმა განაცხადა, საბურავებისა და ავტონაწილების ბიზნესს პანდემია ყველაზე ნაკლებად შეეხო. დადგენილი რეგულაციების კიდევ ორი წლით გადავადების მხარდასაჭერად **ალექსანდრე რატიშვილმა** მკაფიო დასაბუთება მოითხოვა და ამ ვადის ერთ წლამდე შემცირება მოითხოვა.

საბა ბუაძემ იდენტური შინაარსის პოზიცია გაახმოვანა და აღნიშნა, რომ ზიანი, რომელიც პანდემიის შედეგად მიიღო კონკრეტულმა სექტორმა კვლევის შედეგად უნდა იყოს დათვლილი და შესწავლილი. **საბა ბუაძემ** გააჟღერა შეთავაზება რეგულაციების ერთი წლით გადავადებაზე და ისაუბრა სამიზნე აუდიტორიასთან მჭიდრო კომუნიკაციის აუცილებლობაზე.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა ორწლიანი ვადა შეუსაბამოდ მიიჩნია და ამ ვადის ერთ წლამდე შემცირების ინიციატივით გამოვიდა. ამასთან, აღნიშნული სექტორში დასაქმებული პირებისთვის მოტივაციის გაზრდის მიზნით წამახალისებელი ღონისძიებების განსაზღვრის აუცილებლობაზე ისაუბრა.

კომისიების გაერთიანებ სხდომაზე დამსწრე წევრები დაინტერესდნენ სარეალიზაციო პუნქტებისთვის განსაზღვრული ლოკაციების თაობაზე.

მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ შემდეგი განმარტებები იქნა გაკეთებული:

გიგა გიგაშვილის თქმით, 2020 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებაში დეტალურადაა გაწერილი თბილისში მეორადი საბურავების, ჯართისა და ამტვერებადი ნივთიერების განთავსებისა და რეალიზაციის წესები. მისივე თქმით, რეფორმა რომელიც მერიამ დაიწყო ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველი ნაწილის

თანახმად, სამშენებლო და ამტვერებადი მასალის ქალაქში ტრანსპორტირება და მისი ობიექტზე განთავსება 2020 წლიდან დადგენილი რეგულაციების დაცვით მიმდინარეობს, შედეგად, ჰაერში მტვრის მოხვედრა 25%-ით არის შემცირებული. მერიის წარმომადგენლის თქმით, რეფორმის მეორე ნაწილი იმ ტერიტორიების რეგულირებას ეხება, სადაც სამშენებლო მასალების, მეორადი საბურავების, ფერადი და შავი ლითონების და ჯართის რეალიზაცია მოხდება. საკითხის წარმომდგენმა ჩამოთვალა ის ლოკაციები სადაც ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული საქმიანობა. ასეთებია, მათ შორის ელიავას ბაზრობა, აგლაძის ქუჩა, ქავთარაძის, ისნისა და ვარკეთილის ბაზრობები.

მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მასალების რეალიზაციას ძირითადათ მცირე მეწარმეები ანხორციელებენ და მათ სარეალიზაციო პუნქტების მსგავსი ეკონომიკური საქმიანობისთვის განსაზღვრულ ზონებში განთავსება ევალებათ. საკითხის წარმომდენმა განმარტა, რომ დადგენილების თანახმად, მეორადი საბურავების, ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია დაუშვებელია შემდეგ ფუნქციურ ზონებში: საცხოვრებელი ზონები, სპეციალური ზონა 2 და 3, სატრანსპორტო ზონა 1, სარეკრეაციო ზონები, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, სასოფლო-სამეურნეო ზონა, სანიტარიული ზონა, სატყეო ზონა. ასევე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზოგადი ზონებში: ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში, ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში, წყლის ობიექტების სანიტარიული არეალ(ებ)ში და სხვა.

მომხსენებლის თქმით, გარდა ტერიტორიის შეცვლისა, დადგენილების შესაბამისად, ინდივიდუალურ მეწარმეებს კაპიტალური შენობა-ნაგებობებების აშენება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაც ევალებათ. აღნიშნული ვალდებულების შესრულება კი მშენებლობის ნებართვის გაცემის კანონმდებლობით დადგენილ ვადებთან არის დაკავშირებული, ამასთან, მოითხოვს გარკვეული ფინანსური რესურსის მობილიზებას.

რაც შეეხება საინფორმაციო კამპანიას, **გიგა გიგაშვილის** თქმით, 2020 წელს, დადგენილების მიღებისთანავე, მერიის ადმინისტარციის მხრიდან შედგა აქტიური კომუნიკაცია ბაზრობების ადმინისტრაციასა და მეწარმე ფიზიკურ პირებთან. გიგა გიგაშვილის განმარტებით, აღნიშნულ პირებს დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით განესაზღვრათ ორწლიანი მოსამზადებელი პერიოდი.

მერიის წარმომადგენელმა იქვე დასძინა, რომ ვინაიდან 2020 წლიდან ბაზრობები შეფერხებით ფუნქციონირებდა და საცალო ვაჭრობაზე დაწესებული იყო მკაცრი რეგულაციები, მცირე მეწარმეებს ორწლიანი მოსამზადებელი პერიოდი გაუცდათ და ვერ შეძლეს ამ პერიოდის გონივრულად გამოყენება.

როგორც **გიგა გიგაშვილმა** აღნიშნა, იმითვის რომ აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ პირებს დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციები და ვალდებულებები ტვირთვად არ დააწვეთ, ამასთან, პანდემიიდან და ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, დედაქალაქის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სფეროში დასაქმებულ ბიზნეს სუბიექტებს დამატებით მიეცეთ ვადა ორი წელი, თავიანთი საქმიანობის ამ წესთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

რაც შეეხება კვლევასა და ფინანსურ ანალიზს, **მომხსენებელმა** განმარტა, რომ მერიის სამსახურებს ინდივიდუალური მეწარმეების შემოსავლების შემოწმების უფლებამოსილება არ გააჩნია. „ვინაიდიან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბაზრობები დახურული იყო და

საცალო ვაჭრობა შეზღუდულად ფუნქციონირებდა, ცალსახაა, რომ მათ გარკვეული ფინანსუ რი ზიანი მიადგათ“, **განაცხადა გიგა გიგაშვილმა.**

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ნაწილია. კომისიის თავმჯდომარემ დადგენილებით გათვალისწინებული რეგულაციების და ვალდებულებების შესრულების ორი წლით გადავადება გონივრულად მიიჩნია, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ბიზნესის ფუნქციონირება წელიწადზე მეტი დროით შეფერხებული იყო.

ფრაქციის "ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო " თავმჯდომარემ **ოთარ** გრიგოლიამ განმარტა, რომ დედაქალაქში ჰაერის დამტვერიანების და დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი წყარო არის აღნიშნული სავაჭრო ობიექტები. ოთარ გრიგოლიას თქმით, პირველ ეტაპზე რეგულაციების გავრცელების შედეგად 25%-ით შემცირდა ჰაერის დაბინძურება. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ აღნიშნა, არსებობს შესაბამისი სამსახურების გათვლები, რომლის თანახმად რეგულაციების სრულად ამოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება ჰაერის დაბინძურების ხარისხი. „ჩვენი მიზანი მოქალაქეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაა და ჩვენ ამ მიმართულებით მივდივართ. თუ არ წარმოიშვა რაიმე დამატებითი ფაქტორი, რომელიც შეუძლებელს გახდის ამ რეფორმის განხორციელებას, ეს რეფორმა უნდა გაგრძელდეს და მივიდეს ბოლომდე“-, **განაცხადა ოთარ** გრიგოლიამ.

ოთარ გრიგოლიამ ბარბარე ჯიმელი სულაშვილის წინადადება წამახალისებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიიჩნია და ინიციატივების წარმოდგენის შემთხვევაში მზადყოფნა გამოთქვა თანამშრომლობაზე.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა** და ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **ნუცა ცქიტიშვილმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და

თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებით **დამტკიცებულ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/ საცხოვრისით უზრუნველყოფის წესში”.** კერძოდ, უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრებლით უზრუნველყოფის კრიტერიუმებში კონკრეტდება ის სუბიექტები, რომლებიც კომისიას აწვდიან პირის/ოჯახის შესახებ ინფორმაციას. ასეთებად განისაზღვრებიან შემდეგი დაწესებულებები:

- თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრაციის კრიტერიუმის დაკმაყოფილების შესახებ - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
- უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
- საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ფართზე მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტისა და ქირის დამოუკიდებლად გადახდის შესახებ - შესაბამისი გამგეობა,
- საკმარისი შემოსავლების არსებობის კრიტერიუმთან დაკავშირებით - შემოსავლების სამსახური და შესაბამის საბანკო დაწესებულება (დასესებულებები).
- „სამუშაოს მაძიებლად“ რეგისტრაციის კრიტერიუმის შესახებ ინფორმაციას კომისიას სოციალური მომსახურების სააგენტო აწვდის.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ცვლილება შედის თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის განისაზღვრულ კომისიის მიერ უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრირებულ პირთათვის/ოჯახებისათვის ქულათა მინიჭების იმ სისტემაში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რიგითობა. კერძოდ, არსებულ ჩამონათვალს ემატება შემდეგი გარემოება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის პროგრამით მოსარგებლე პირი/ოჯახი, ხოლო მისანიჭებელი ქულა განისაზღვრება 3 ქულით.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, ასევე დაკორექტირდა მოქმედ რედაქციაში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციის გამომრიცხავ გარემოებას წამოადგენდა კომისიის მიერ პირის/ ოჯახში შემავალი წევრების შესახებ ინფორმაციის ვერ მოპოვება და განისაზღვრა, რომ განაცხადი არ განიხილება და განმცხადებელს ეცნობება უარი უსახლკაროდ რეგისტრაციაზე, თუ უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი პირის/ოჯახის შესახებ შესაბამისი გამგეობა ვერ მოიპოვებს ინფორმაციას.

დასასრულს, ნუცა ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი - ნინო რუხაძე დაინტერესდა იმ პირების თაობაზე, რომლებიც ხელოვნურად ქმნიან უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველს.

ნუცა ცქიტიშვილმა ნინო რუხაძის საპასუხოდ განმარტა, რომ უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის კრიტერიუმების მიხედვით, პირი უსახლკარო პირად არ დარეგისტრირდება, ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას/გამოვლენისას, რომლის შედეგადაც უსახლკარო სტატუსის მაძიებელმა პირმა თავშესაფრის მიღების მიზნით, ხელოვნურად წარმოქმნა მისი უსახლკარო პირად რეგისტრაციის საფუძველი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა** და ფრაქციის „ ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის" თავმჯდომარის მოადგილემ - **ცოტნე კობერიძემ,**

ხოლო, **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის** დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **მარიამ კვერნაძემ,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, დედაქალაქის რამდენიმე რაიონში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თაობაზე რიგი განკარგულებათა პროექტები, მათ შორის, **მომხსენებელმა** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უმოს ქუჩა N7-ში მდებარე **40.23** კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სათენიკა გიგაურს.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს შესაბამის წერილზე თანდართული ოქმი, რომლის მიხედვით, სათენიკა გიგაური შვილთან ერთად დაახლოებით **45** წელია ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში. ამასთან, გამგეობის შესაბამისი საუბნო სამსახურის მიერ შედგენილი შემოწმების ოქმის თანახმად დასტურდება დაინტერესებული პირის ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების ხელმოწერების მიხედვით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი **1964** წლიდან ნამდვილად ცხოვრობს ზემომითითებულ მისამართზე.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, სათენიკა გიგაურისა და მისი ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. **მარიამ კვერნაძემ** ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-11** საკითხზე და აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, საინგილოს ქუჩა N116-ში მდებარე **93.25 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს - **მოქალაქე ცისკარა მარგველიანს,** რომელიც **2003 წლიდან** დღემდე ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება **შსს-ს** წერილითა და **შესაბამისი** მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ცისკარა მარგველიანის და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული** არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. **მარიამ კვერნაძემ** დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-12** საკითხზე საუბრისას აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებელის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა №34-ში, II სართულზე მდებარე **67.65 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს - მოქალაქე **თინათინ გველესიანს,** რომელიც **2000 წლიდან** დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, შსს-ს წერილებით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობებითა და მთაწმინდის რაიონის გამგეობის კიკეთი-კოჯორის საუბნო განყოფილების გამოკითხვის ოქმით.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თინათინ გველესიანსა და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების **პროექტთან** დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ **- გიორგი ონიანმა,**

სოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. **მარიამ კვერნაძის** თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მე-4 მიკრორაიონის, კორპუს N21-ში, მე-8 სართულზე, მდებარე **55.02 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე **ბადრი ნოვრუზალოვს,** რომელიც **1998 წლიდან** ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ბადრი ნოვრუზალოვზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული** არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. **მარიამ კვერნაძემ** ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-14 საკითხზე და აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N1-ში, კორპუს N7-ში, მეხუთე სართულზე მდებარე **99.40 კვ.მ** ფართის ბინა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე** თინათინ **მაღრაძეს**, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, შსს-ს წერილით, ქვემო სამგორის **საუბნო** განყოფილების შემოწმების აქტითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თინათინ მაღრაძეზე და მისი ოჯახის წევრებზე (გარდა გიორგი მაღრაძისა - სასოფლო სამეურნეო დანიშულების მიწის ნაკვეთი ხარაგაულში სისტემური რეგისტრაციის შედეგად) საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. **მარიამ** კვერნაძის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის I ჩიხის N4ბ, 1 სართულზე მდებარე **102.03 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **დევნილის** სტატუსის არმქონე პირს - **მოქალაქე ჰერა თომბულოვას,** რომელიც აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 30 (ოცდაათი) **წელზე** მეტია რაც დასტურდება, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით. რაც შეეხება შსს-ს წერილს, აღნიშნული დოკუმენტაციის მიხედვით,

მოქალაქე ჰერა თომბულოვა დაახლოებით 1960 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. ამასთან, მთაწმინდის რაიონის კიკეთი-კოჯრის საუბნო განყოფილების შემოწმების ოქმის თანახმად, მოქალაქე ჰერა თომბულოვა ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე ჰერა თომბულოვას საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 814 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. მარიამ კვერნაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-16 საკითხთან დაკავშირებით, განმარტა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N93-ში, მე-2 სართულზე მდებარე 34.40 კვ.მ. ფართის ბინა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს - მოქალაქე ზურაბ იაშვილს, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში, რაც დასტურდება, შსს-ს წერილზე თანდართული ზეპირი გასაუბრების ოქმებით, სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და შესაბამისი მოქალაქეების მიერ ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

სააგენტოს წარმომადგენელმა იქვე დასძინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილია ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზურაბ იაშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-17 საკითხთან მიმართებაში, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი №5-ში, პირველ სართულზე მდებარე 41.99 კვ.მ. და 29.65 კვ. მ. ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე **მარინა მითაგვარიას**, რომელიც 1997 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება, შსს-ს წერილზე თანდართული მისამართზე გამოცხადების ოქმებით, სამი მოქალაქის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებითა და ნაძალადევის რაიონის გამგეობის სანზონის საუბნო განყოფილების შესაბამისი შემოწმების ოქმით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. **მარიამ კვერნაძემ** ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-18 საკითხზე და აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა № 8-ში მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ მოქალაქეებს გიორგი ჯვარიძესა (65.77 კვ. მ.) და გურამი ჯვარიძეს (134.03 კვ. მ. და 43.36 კვ. მ.), რომლებიც 2000 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილზე თანდართული მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობის კიკეთი-კოჯრის საუბნო განყოფილების გამოკითხვის ოქმებითა და შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. მარიამ კვერნაძემ ასევე ისუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-19 საკითხზე და აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში, პირველ სართულზე მდებარე 69.17 კვ.მ. უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა სოციალურად დაუცველ პირს - მოქალაქე მაკა ხოხონიშვილს, რომლებიც 2013 წლიდან დღემდე ფლობს დაინტერესებაში არსებულ ფართს, რაც დასტურდება, შსს-ს წერილზე თანდართული ზეპირი გასაუბრების ოქმებით, სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

სააგენტოს წარმომდგენელმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი უწყებებში წარდგენილია აღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა და კომუნალური გადასახადის ქვითრები.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. მარიამ კვერნაძის თქმით, ჩუღურეთის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში, მეორე სართულზე მდებარე 31.04 კვ.მ ფართი და 2.22 დამხმარე ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე მაყვალა ღლონტს, რომელიც დაახლოებით 24 წელიწადია ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას, რაც დასტურდება, შსს-ს წერილით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის

შემოქმების აქტითა და ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. დღის წესრიგით გათვალისწინებულ 21-ე საკითხზე საუბრისას **მარიამ კვერნაძემ** განმარტა, რომ სამგორის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში130.85 კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 20 იანვრის N22.35.39 განკარგულებით განსაზღვრულ ხუთ პირს, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქეებს, რომლებიც 1999- 2003 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს წერილით, სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. დღის წესრიგით გათვალისწინებულ 22-ე საკითხთან მიმართებაში, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ დიდუბის რაიონის გამგეობის წერილობითი რეკომენდაციების

გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში, პირველ სართულზე მდებარე 14.07 კვ.მ ფართი და 13.78 კვ.მ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თემური ყურაშვილს, რომელიც შსს-ს წერილზე დაყრდნობით 15 წელია ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში. რაც შეეხება ამხანაგობა „სოხუმის" კრების ოქმს, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, თემური ყურაშვილი 2001 წლიდან ფლობს აღნიშნულ ფართებს. ამასთან, შესაბამისი მოქალაქეების მიერ ნოტარიულად დამოქმებული განცხადებების მიხედვით, დაინტერესებული პირი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2006 წლიდან.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - მარიამ კვერნაძემ, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.14.009.032) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ხარატიშვილისთვის (პ/ნ: 01017012993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19-ის მიმდებარედ 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ხარატიშვილისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 (ხუთი) წელი;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური - 1 800 (ერთი ათას რვაასი) ლარი;

მარიამ კვერნაძის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის თანახმად, 10 კვ.მ მიწის ნაკვეთზე

შესაძლებელია ღია კაფეს მოწყობა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით.

დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ მარინე ხარატიშვილის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19ა-ში მდებარე **73.40 კვ.მ** ფართის უძრავი ქონება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. **მარიამ კვერნაძემ,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.07.045.028) პირდაპირი განკარგვის წესით შალვა ჯოხაძისთვის (პ/ნ:45001002521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ **46 კვ.მ** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შალვა ჯოხაძისთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - **5 (ხუთი) წელი;**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური - **4 420 (ოთხი ათას ოთხას ოცი) ლარი.**

მარიამ კვერნაძის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის თანახმად, **46 კვ.მ** მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია ღია კაფეს მოწყობა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, **შშმ** პირთა ტექნიკური რეგლამენტის -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" ნორმების და მოთხოვნების შესაბამისად.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ აღნიშნული ფიზიკური პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, მე-4 მიკრო/რაიონი, საზკვების გაერთიანება N23, კაფე „ვაზისუბნის" მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია